წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. ხუთშაბათი, 11 მარიამოგისთვე 1916 წ. № 178

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ერთ ჯერ 50 კაპ., ხუთ ჯერ კნელზე—10 კ., ადგილის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: ერთ სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 4 მ.; 20×2 ღირს 8., 25×2 ღირს 7 მ. 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღ. 1 მ. მეტი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

5 მარიამოგისთვეს დილით გარდაიცვალა
ეკატერინე ივანეს ასული
სარაჯიშვილისა

რასაც გულითადის ცრუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძმანი მისი ვახტანგ და ალექსანდრე ივანეს ძენი ფორაქიშვილნი.

პანაშვიდი—ყოველ დღე, საღამოს 7 საათზედ, განსვენებულის სახლში (სერგიევის ქუჩა, № 13).

გაიმართება ხუთშაბათს, 11 აგვისტოს, დილის 9 საათზედ, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, სადაც გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. დაკრძალვა—დიდუბის ეკლესიის გალავანში.

(3-291-3)

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ დღეს, აგვისტოს 11-ს დიდუბის ეკლესიის გალავანში დაკრძალავენ განსვენებულს
ეკატერინე ივანეს ასულის
სარაჯიშვილისას
ცხედარს გამოასვენებენ სახლიდან დილის 9 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადაუხდიან წირვასა და პანაშვიდს და შემდეგ წაასვენებენ დიდუბეში.

(1-210-1)

მოსკოვის ქართველთა საზოგადოება
მწუხარებით აუწყებს თავისი საპატიო წევრის
ეკატერინე ივანეს ასულის
სარაჯიშვილის
გარდაცვალებას. (2—2)

განათლების საწოგადოების გამგეობა მწუხარებით აუწყებს რა თავის საპატიო წევრის და უხვ ქველმოქმედის
ეკატერინე ივანეს ასულის
სარაჯიშვილის
გარდაცვალებას, სთხოვს წევრებს დაესწრონ დღეს, ხუთშაბათს, 11 აგვისტოს, დაკრძალვას

(1-296-1)

მწარედ დამწუხრებულნი დავით ილიას ძე გაბრუაშვილი და ალექსანდრა გიორგის ასული გაბრუაშვილისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფას დაუვიწყარ პირმშო ასულის
თამარა დავითის ასულის
გაბრუაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება 12 მარიამობისთვეს დილის 9 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში, იქიდან წმ. ნინოს სასაფლაოზედ, სადაც დაიკრძალება. მისამართი: კვირაცხოველთან, არხიპოვის ქუჩის შესახვევი, საკუთარი სახლი. პანაშვიდი ყოველ საღამოს 7 საათ.
(3—293—2)

ნესტორ ლუკას ძე შავდია შვილებითურთ, გულდაწყვეტილი აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ პარასკევს, 12 აგვისტოს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი საყვარელი და დაუვიწყარი მეუღლის და დედის
ოლღა ივანეს ასულის
შავდიას
სულის მოსახსენებლად. ამავე დღეს, საღამოს 6½ საათზე, გადახდილი იქნება მეორე პანაშვიდი განსვენებულის საფლავზე—წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—297—1)

ღვინის საწყობი
ნიკო გ. სესიაშვილისა
იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი
კახური ღვინო
განთვის ქუჩა № 4.
——— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. ———
(185—წ.)

ახალი მელანი
კოტე ონიკაშვილისა
დავამზადე მელანი და ვყიდი შემდეგს ფასებში
ვინც ორ თუმანზე მეტს გამოიწერს შუშით (ფლაკონით) ეღირება: გირვანქა—1 მ., ½ გირვანქა—50 კაპ. ¼ გირვანქა—30 კაპ.
ვისაც ფუთობით ჰსურს გაიწეროს უფლაკონოდ ერთი ფუთი ღირს 35 მან.
გასაგზავნს ფასს ნახევარს ჩვენ ვიხდით. ფასდადებით მელანი გაეგზავნება, ვინც მესამედს ფასს წინადვე გამოგვიგზავნის.
მსურველს მივაწვდი ჩემის მელნის ნიმუშს
მისამართი: ქ. თელავი, კოტე ონიკაშვილი.

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)
სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.
ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია
ყოველ დღე მზადდება
საუზმე, სადილები, ვახშმები
ჩაი, ყავა, ხაჭაპური, პიროჭკები
ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.
პატივისცემით სილ. ხ. გიგიბერია.

ვამზადებთ პიროგით
პრაპორშჩიკთა სკოლისათვის. მაცადინეობა დაიწყო. მსურველთა მიღება გრძელდება. პირადათ მოლაპარაკება ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე.
მისამართი: მოსკოვის ქუჩა, № 24. ბინა 1. (თ-128-15)

ექიმი
გ. დ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოზის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან იღებს მანგლისში
კორპუსის ბანაკში

ექიმი
გ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

დ. ზესტაფონში
ექიმი
დ. კ. მაჭავარიანი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

ექიმი-დოსტაქარი
გ. გ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესაველი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
ა. დ. მაჭაგაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშვილე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დალმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი გ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

თბილისი, 11 მარიამოგისთვე.

სომეხთა მოქმედება საქართველოში. სომხების მოქმედებას ჩვენში შემთხვევითი ხასიათი არ აქვს. ყველაფერი აწონილ-დაწონილია და წინასწარად მოფიქრებული. მათი მოქმედება უაღრესად მიზანშეწონილია და მას სისტემატიური, მეთოდიური ხასიათი აქვს. სომხობას შეუქმნია მტკიცე ორგანიზაცია, ფულით მდიდარი და ღონიერი, ამ თავის ეროვნულ-კულტურულ და პოლიტიკურ მიზნების განსახორციელებლად საქართველოს საზღვრებში, საქართველოს ხარჯზე. დღეს არვისთვის არის დაფარული, რომ სომხების ეროვნული ორგანიზაცია ახალ-ახალ წევრებს ამკვიდრებს საქართველოში, განსაკუთრებით თბილისში, სადაც ახალ ჩამოყვანილს საქმეს უჩენს, თავის თანხით ვაჭრობას უმართავს და უწევს სასტიკ მეთვალყურეობას, რომ საქმე რიგიანად წაიყვანოს, ფეხი მოიკიდოს და თანაც ნელ-ნელა გაინაღდოს ფონდი, რომელიც მას საქმის დასაწყებად მიეცა. თუ ახალმა წევრმა იმედი გაამართლა და ვაჭრობის საქმე კარგად წაიყვანა, მიზანი საბოლოოდ მიღწეულია, იქ იგი თბილისში მაგრად ფესვებს გაიდგავს, საქართველოს ნიადაგს ღრმად ჩაესობა და ვერავითარი ქარტეხილი მას ვერ მოსთხრის. ეროვნულ-პოლიტიკურად მებრძოლი სომხობის ჯარს ერთი ახალი ჯარის-კაცით მეტი ეყოლება, ვიცით ამის მაგალითებიც. თუ წინააღმდეგ მოლოდინისა ჩამოყვანილმა სომეხმა იმედი ვერ გაამართლა და სომეხთა ეროვნული ორგანიზაციის დახმარება ბოროტად გამოიყენა და გაფლანგა, დაუყოვნებლივ ყველაფერი ჩამოერთმევა და თავის თავის ამარა გაისტუმრებენ. გვინახავს ამის მაგალითებიც. სომეხთა ეს შესანიშნავი მეთოდი და მტკიცე ორგანიზაცია, დიდის აღფრთოვანებით და ფულის დაუზოგველად მუშაობას; რა თქმა უნდა, რომ იგი მეტად თვალსაჩინო შედეგებს იძლევა. შორს არის ხმა გავარდნილი—თბილისის სომხობა უმფარველობად არ დასტოვებს მომქმედ და ვარგიან სომეხსო. ეს გარემოება მადას აღვიძებს გადაკარგულ სომხებში და მოხალისეთა ახალ-ახალ გუნდებს იზიდავს საქართველოს შუაგულში.

თბილისის ეროვნული ორგანიზაცია მარტო ერთ ფრონტზე არ იბრძვის. თუ ერთის მხრით მას ჩამოჰყავს ახალი სომეხი, რომელსაც არც ერთი ეროვნულ-ფსიხოლოგიური თვისება და ატრიბუტი შერყვნილი არ აქვს და რომელიც მაშასადამე უერთგულესი აგენტია სომხის ეროვნული იდეალის განმტკიცებისა, ახალ სომხეთის მოპოებისა,—მეორეს მხრით სომეხთა ეროვნული ორგანიზაცია ყოველ ღონეს ღონობს, რომ სომხის ეროვნულ იდეალს დაუბრუნოს ის სომხები, რომელნიც აქ მთელი საუკუნეობით სცხოვრობენ, შეჰზრდილან საქართველოს ეროვნულ სხეულს, სრულიად გაქართველებულან და რომელთაც სომხური ენისა არაფერი გაგეგებათ. აი ამ სომხებში ხსენებული ეროვნული ორგანიზაცია დიდს მუშაობას ეწევა და ჩვენ უკვე ვხედავთ ამ თავგანწირული მუშაობის დადებით ნაყოფს. ქართველებად ქცეულ სომხებში აღსდგა ჩაფერფლილი ეროვნული გრძნობა და იგი დღეს ცდილობს ენით, მისწრაფებით, იდეალით გასომხდეს. თავის დღეში სანდო არ არის გადარჯულებული კაცი. მასში ეროვნული გრძნობის გაღვიძება მხოლოდ დროს ეძიებს! ეს სომხობა, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოს სრულიად ბუნებრივად, ძალ-დაუტანებლივ, გაუქართველებია და რომლითაც, მაშასადამე, მას ეროვნული რიცხვისა და კულტურისა ჯამი გაუდიდებია, დღეს საქართველოს პოლიტიკური დაკნინების დროს, სწყდება საქართველოს სხეულს და მის მოქიშპე და გამნელებელ ძალად ხდება. ესეც, თქმა არ უნდა, ეროვნული დანაკლისია.

მაგრამ სომეხთა ეროვნული ორგანიზაცია საქართველოს გასომხების პოლიტიკაში უფრო შორს მიდის. ქართლ-კახეთის სოფლებში ჩამჯდარი სომხის მღვდლები, სოფლის ტერტერები, ამ ორგანიზაციის მეტად ენერგიული აგენტები, უღმერთოდ აწარმოებენ ქართველების გასომხებას. ტერტერები გასომხების დაუცხრომელ პროპაგანდას ეწევიან იმ ქართველებში, რომელთაც ოდესღაც სომხის სჯული—გრიგორიანობა—მიუღიათ. ტერტერები აგონებენ სოფლის გაუნათლებელ ქართველ გრიგორიანს, რომ იგი სარწმუნოებით კი არა, ეროვნებითაც სომეხია. უვიც სოფლელს, რომელსაც სარწმუნოება ეროვნობისაგან ვერ გაურჩევია, სჯერა ტერტერასი და თავისი თავი ნამდვილ სომხად მოაქვს. ერთხელ ჩათრეული სომხის ეროვნული იდეალის ორბიტში, იგი სამუდამოდ ეკარგება საქართველოს. ტერტერების მოქმედება აღემატება ყოველგვარ წარმოდგენას. განსაცვიფრებელია ხერხისა და ღონისძიებისა სიუხვე და ფერადობა, რომელსაც იჩენს სომხის მღვდლის გამახვილებული მიხვედრილობა. თავის თავად ცხადია, რომ სომხის ტერტერა სულიერ მოძღვრის მთელ ავტორიტეტს ხმარობს, რომ ხან ჯოჯოხეთით დაემუქროს ქართველ გრიგორიანს, ხან წარწყმედით, რომ იგი მოსტეხოს თუ რამ კერპობა გამოიჩინა. ქართველი გრიგორიანის სული პოლიტიკანი მღვდლის ხელშია, ნათლობა იქნება, ქორწინება თუ დაფლავება,—ამ ადამიანის ცხოვრების უშესანიშნავეს და უსაიდუმლეს ეტაპების დროს მღვდელი თვითმპყრობელი ძალაა, რომელსაც ვერავინ ვერ შესცვლის. საჭიროა დიდი შეგნება და ხასიათის სიმტკიცე, რომ მღვდელი მოსტეხო ისე, რომ არაფერი დაუთმო და რადგანაც სოფლის ქართველ გრიგორიანს—ეს ღირსებები არ აქვს, ცხადია იგი ტერტერის აჩემებულ აზრს ვერ გაუძლებს და დანებდება. ასეთი ძალდატანება და იძულება ხდება დღისით—მზისით ქართველ კაცზედ სომხის მღვდლებისგან. ქართველს ძალად ასომხებენ, და პატრონი არავინაა, რომ ეს ბოროტმოქმედება ალაგმოს. ასეთია სომხობის ეროვნული ორგანიზაციის მოქმედება. როგორც დავინახეთ იგი მთელის თავის ბუნებით ქართული ეროვნული ცხოვრების კეთილმოგვარების წინააღმდეგ არის მიმართული. სომეხთა ამ მოქმედებას, რომელიც მათი, სომხური ეროვნული იდეებისა და იდეალის მიხედვით, სრულიად საფუძვლიანია, **აუცილებელ შედეგად** მოაქვს ჩვენი ეროვნული გაზრდის შეკუმშვა, ჩვენი ეროვნული იდეალის ფრთის შეკვეცა, ჩვენი ეროვნულ-პოლიტიკური მომავალის განაღდების შეუძლებლობა. ამ საფრთხის დანახვა არ სურთ ჩვენში მომქმედ სოციალისტურ პარტიებს ან თუ ხედვენ ისინი ამ საფრთხეს, უმალვენ ქართველ ფართე საზოგადოებას, ქართველ ხალხს.

სოციალიზმის და ინტერნაციონალიზმის სახელით ქართველ ხალხს იმას ჩასჩიჩინებენ, რომ ძმობა-ერთობა კარგი და აუცილებელი საქმეა, რომ სომხობისაგან ქართველებს არავითარი საფრთხე არ მოელისო, გაუმარჯოს ინტერნაციონალსო. ჩვენ მოვალეობად ვრაცხთ ქართველ სოფლელებსა და ქართველ ხალხს თვალი გავახელოთო, დაუმალავად, მთელის სიგრძე სიგანით დავანახოთ ის ეროვნული საფრთხე, რომელიც მას მოელის სიქართველოს სომხობისაგან, რომლის მოქმედებისა და საქმიანობის შემოწმება ყოველთვის ხელმისაწვდომია და დასანახი. ქართველი საზოგადოება უნდა გაფრთხილებული იყოს, რომ თავის დაცვის გზები გამოძებნოს და ეცადოს, რომ საქართველოს საზღვრებში საქართველოს ეროვნული იდეალის გაფურჩქვნა არვინ შეხუთოს. თუ სხვას უფლება აქვს ჩვენს ქვეყანაში თავის საქმე აკეთოს, ნუ თუ ქართველმა არ უნდა იზრუნოს თავისი თავი თავის მამა-პაპეულ სამკვიდრებელში არავის დაეჩაგვრინოს?! საჭიროა საქართველოს ფაქტიური ვითარების ობიექტიური შესწავლა და როდესაც ცხადი იქნება, რომ ჩვენს ეროვნულ საქმეს, რომ საქართველოს აწმყოს თუ მის მომავალს, მახლობელს თუ შორეულს ვისგანმე ან რისგანმე საფრთხე მოელის, არავითარი ღონისძიების წინ არ უნდა დავიხიოთ ჩვენი თავის დასაცავად და დასახსნელად. თუ გვინდა ცხოვრება, სხვა გზა და სხვა საშუალება არ არსებობს. ეს უნდა კარგად შევიგნოთ და ამ შეგნებით დღე და ღამე ვიაროთ.

ქართული პრესა

გაზეთ სამშობლოში ბ-ნი ტრიფონ ჯაფარიძე ეხება ბინის საკითხს ქუთაისის გუბერნიაში და შემდეგ საგულისხმიერო ცნობებს გვაწვდის:

„დასავლეთ საქართველოში დიდი სივიწროვეა მიწისა. ეს გარემოება დღითი დღე მწვავდება და, თუ მალე არ მოიწესრიგდა ცუდ მომავალსაც გვიქადის. ჩვენ მიწას უნდა დავეპატრონოთ, არამც თუ იმას ვერავის გავატანთ, სხვაგანაც უნდა ვეძიოთ, თანდათან აღმოსავლეთ საქართველოსკენ უნდა გადვიწიოთ და ჩვენი მოდგმა იქ დავაბინავოთ. ამას გვიკარნახებს დღევანდელი სინამდვილე და ეს კარნახი იმდენათ მკაფიო და ხმამაღალია, რომ აქ სიჩუმე და ლოდინი ისეთ უფსკრულში ჩაგვაგდებს, სიდანაც გამოსავალს ჩვენი თაობა ვეღარ ნახავს.

რომ უფრო ცხადათ წარმოვიდგინოთ დღევანდელი სურათი ქუთაისის გუბერნიაში მიწის სივიწროვისა მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით, ამისათვის დავხედოთ შემდეგ ცხრილს. *)

მაზრები.	კვ. ვერ.	სოფლ.	სულ.
ქუთაისი . .	3035	31861	224480
შორაპნის. .	2678	29580	184278
სენაკის . .	2977	21258	131757
ზუგდიდის .	2492	23313	131402
ოზურგეთის .	1946	12463	101420
ლეჩხუმის. .	4280	8756	57708
რაჭის. . .	2531	10730	88629
სულ .	19909	138961	919674

*) ცნობები ამოღებულია 1913 წლ. სტატისტ. უწყ.

ყველა ზემოაღნიშნული მაზრების მაედანი რომ ვიანგარიშოთ სახმარი და უხმარი ერთიანად, მიახლოვებით მოსახლეს (8-10 სულს) 15 დესიატინა, არ ხვდება, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ 1913 წელს დამუშავებული ყოფილა (ვენახათ 18193 დესიატინა და ყანათ (სათესათ) 270260 დესიატინა) ე. ი. 288453 დესიატინა აღმოჩდება, რომ მოსახლეს ორ დესიატინაზე ნაკლები უწევს, ისიც მაშინ, როცა მთელი გუბერნიის ქალაქებში ანგარიში არ შეგვაქვს. თუ მხედველობაში მივიღებთ მცხოვრებთ ზრდას ცხადია მიწის სივიწროვე მალე გამწვავებას გამოიწვევს. თავის თავათ ცხადია, რომ ჩვენში ახლავე უნდა ვფიქრობდეთ იმას, საით ვეძიოთ გასაფართოებელი გზა. ასეთი გზა ბუნებრივი და სამართლიანი არის აღმოსავლეთ საქართველოსკენ, სადაც შედარებით მეტი სიფართოვეა და სადაც ჩვენი ბინადრობა უფრო მოსახერხებელია.

ხალხმა თვითონ იგრძნო ეს გზა და ორი მაზრიდან: შორაპანისა და რაჭის უკვე გადასახლდენ კაბალში 200-ზე მეტი მოსახლე, ნიჭიერი წინამძოლი ამ საქმეს ისე გაუძღვება, რომ გადასახლება ზედმეტი მკვიდრისა ბუნებრივად იწარმოებს. ამ გარემოებას ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ და ეს მიმდინარეობა სწორ გზაზე დავაყენოთ.

მართალია, ჩვენში მიწის სივიწროვე შემაწუხებელია, მაგრამ უფრო სახიფათო ისაა, რომ ჩვენში ვინმე გარეშემ ადგილი შეიძინოს და კიდევ აქ ვინმე ჩამოგვისახლონ—აი ამაზე იტყვიან: ყვავს არ ჰქონდა—ბუს გაჰქონდაო. აი ეს რომ მოხდეს, აუტანელი მდგომარეობა მაშინ შეიქმნება.

ეს უბედურება მოსალოდნელია და აი რატომ: ჩვენში უწინ ძესაკუთრე ანუ მიწისმფლობელი იყო ბატონი, გლეხი კი მიწის დამამუშავებელი ძალა. ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ მესაკუთრეთ გახდა გლეხი: მიწა თანდათან ბატონის ხელიდან გლეხის ხელში გადავიდა. ეს მოვლენა სრულიად ბუნებრივი იყო, რადგან ჩვენ გლეხს დიდი სურვილი აქვს მამულის. მიწის შეძენის სურვილი ჩვენი გლეხის დამახასიათებელი თვისებაა. როდესაც ჩვენი გლეხი მიწას ყიდულობს, ის სულიერ კმაყოფილებას განიცდის. ასეთია სულიერი განწყობილება ჩვენი გლეხისა. ჩვენი გლეხის ასეთი მისწრაფება სხვათა შორის მითიც დამტკიცდა, რომ მარტო ქუთაისის გუბერნიაში გლეხობას 1912 წლის პირველ იანვრამდე ჰქონია გამოყიდული მათი მებატონეებისაგან 8,384,657 მანეთის ადგილ-მამული, ასე რომ 1912 წელს სხვა უძრავ საკუთრებასთან ერთად, გლეხობის ნაყიდი მიწის ფასი უდრიდა 10,000,000 მილიონ მანეთს. თუ გავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ მებატონესა და ყმას მომრიგებელი შუამავალი არიგებდა და გლეხს ადგილი ძლიერ იაფად რჩებოდა, ადვილად წარმოვიდგენთ, რომ გლეხებისაგან შეძენილი საკუთრება ათჯერ და ოცჯერ მეტი ღირს, ვინემ საბუთებშია აღნიშნული.

მუყაითად და ენერგიულად მიჰყო ხელი მიწის დასაკუთრებას ჩვენმა გლეხმა და ეს დღესაც ასე ხდება, მაგრამ სამწუხარო გამონაკლისს ამ ბოლო დროს შეადგენს გუშია. მოძრაობის შემდეგ გურიაში გლეხის საკუთრება აღარ მატულობს. სამწუხაროდ იქ ფესვი გაიდგა ერთგვარმა შეხედულობამ, რომელმაც გლეხის მიდრეკილება მიწის საკუთრებისაკენ შეასუსტა. იქ დღეს გლეხი ფიქრობს რომ მიწა, ავათ იქნება თუ კარგად, მაინც იმას დარჩება და ყიდვა ზედმეტად მიაჩნია. მიწის შესყიდვა ძველ, დახავსებულ, უაზრო ჩვეულებათ არის აღიარებული. სხვა მაზრებში გლეხები ერთმანეთს ესრისებიან და ძალას არ ზოგვენ მიწის შესაძენად, გურიაში კი ამაზედ არავინ ფიქრობს. აი სხვათა შორის რას გვეუბნება სტატისტიკა 1913 წლისა:

მაზრები.	ნასყიდობის ფურც.	კომლ.	ქცევა	ფასი
ქუთაისის	3	3	102	450
შორაპნის.	412	412	4863	150618
ოზურგეთის.	1	1	6	100
რაჭის.	20	20	373	8140
სენაკის	32	32	218	4788
ზუგდიდის	89	89	1377	11254
ლეჩხუმის.	65	55	856	11701

აი რა განსხვავებაა!! ერთი წლის განმავლობაში შორაპნის მაზრა 412 კაცი ხდება 4863 ქცევის პატრონათ, ზუგდიდში 89 კომლი იძენს 11 ათასი მანეთის საკუთრებას და გურიაში კი ერთი კაცი იძენს 6 ქცევას და ისიც ასი მანეთის ღირებულს. ნუ თუ ამის შემდეგ ითქმის, რომ გურულ კაცს ბუნება არ შესცვლია და ის უწინდებურად მიწის მესაკუთრეობაზე ზრუნავსო? არ მინდა სიტყვა გავაგრძო, თორემ იგივე სტატისტიკა გვიმტკიცებს, რომ მოძრაობამდი გურიაში ისე ყიდულობდენ მიწას, როგორც სხვა მაზრებში.

გურიაში ისეთივე სივიწროვეა, როგორც სხვა მაზრებში, ვინაიდგან გურიის გლეხობა მიწის შესაკუთრებაზე არ ზრუნავს, მიწის პატრონი მუშტარს სხვაგან ეძებს და, ჩვენდა სამწუხაროდ, კიდეც შოულობს. გურიის მამულები თუ სხვის ხელში გადავიდა, გურიაში მცხოვრებ გლეხთა მდგომარეობა აუტანელი შეიქნება. ამ გარემოებას ყურადღება მივაქციოთ და დროით ვიფიქროთ სახსარი. ძვირფასი მხარე, ნიჭიერი ხალხი, ფხიზელი, მკვირცხლი გონების პატრონი, განსაცდელში ვარდება და ვითომც ვერა გრძნობს!!! საგულისხმო მოვლენაა!!!"

შემდეგ პატივცემული ავტორი მოითხოვს, რომ ქუთაისშიაც დაარსდეს სახელმწიფოში, რომლის ნეიტრალობა საიმედო არ არის. გარდა ამისა წყლით სარგებლობა ახლანდელ დროში მეტად სახიფათოა ოკეანეშიაც, არამთუ ხმელთა შუა ზღვაში, სადაც გერმანეთის წყალქვეშები დაძვრებიან და მუდამ ჟამს მზათ არიან თავსდასხმისათვის. წინასწარმეტყველობა საზოგადოთ ძალიან ძნელია. ვის მხარეს გადიხრება ომის ბედი ეს არვინ იცის, მაგრამ რაც უნდა მოხდეს ბალკანეთში, არსებითაც მაინც ვერ შეესცვლის ახლანდელ მდგომარეობას ბრძოლის ველზე და ექნება მხოლოდ კერძო ადგილობრივი ხასიათი.

X.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

საერთო მდგომარეობა თითქმის ყველგან უცვლელია გარდა კავკასიის ასპარეზისა, სადაც ბრძოლა. როგორც ოფიციალი დეპეშა გვამცნობს, ზოგიერთ ალაგას რუსების სასარგებლოდ მიმდინარეობს. თუ რამდენად განვითარდა აქ დაწყებული ოპერაცია ან და რომელ სტადიაში გადავიდა ჩვენ არ ვიცით, რადგან ოფიციალი ცნობები ყოველთვის ადგილობრი ხასიათის შეტაკების შედეგს გადმოგვცემენ ხოლმე.

აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე მთავარ შტაბის ცნობით მდგომარეობა უცვლელია. სამაგიეროთ ბალკანეთში დიდი გენერალური ბრძოლა დაწყებულა. ახლა თვით მოკავშირეთა ჯარები მიდიან იერიშით და ბულგარელების მთავარ პოზიციების დაპყრობას ლამობენ. თავის-თავად ცხადია, რომ აქ დაწყებული ბრძოლა ვერ მოახდენს შესაფერ გავლენას დანარჩენ ადგილებზე. ბულგარელებს ახმაურებას უფრო პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სტრატეგიული. როგორც ვიცით, უკანასკნელ დროს პრესა თითქმის ერთხმად იმას იმეორებდა, რომ რუმინია მოკავშირეებს მიემხრო და მალე ავსტრიელების წინააღმდეგ გაილაშქრებსო. თითქოს დღესაც-კი ნიშნავდენ, როდის უნდა დაეწყო შეტევა რუმინიას. ერთხელ ხმაც კი გავრცელდა, ბულგარეთის და რუმინიის გზები დაიკეტა და მიმოსვლა შეჩერდაო. ჩვენ კარგათ ვიცით რის მომასწავებელია ხოლმე ასეთი მოვლენა. რასაკვირველია ყველა თითქოს დარწმუნდა ამ გვარ ცნობის ზეგავლენით, რომ მართლაც რუმინეთი ბრძოლაში ჩაერევა და რაკი რუსის მხედრობა უკვე ბუკოვინაში შეიჭრა, მასთან ერთად შეესევა ცენტრალურ სახელმწიფოებსო. ბულგარეთის გამოსვლამ თითქმის სრულიად წინააღმდეგი მდგომარეობა დაგვანახვა. ბულგარეთი თავის დღეში სარაილის ჯარზე ვერ გაბედავდა გალაშქრებას, თუ კი იგი დარწმუნებული იქნებოდა, რომ რუმინეთი მართლაც ომს დაიწყებდა მის და ავსტრია-გერმანეთის წინააღმდეგ.

სწორედ ეს მოსაზრება გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ყველა ცნობები რუმინეთის შესახებ ჩვეულებრივი სიცრუე იყო და ამ სახელმწიფოს მესვეურნი ისევე თვალთმაქცობდენ უკანასკნელ დროს, როგორადაც შარშან და შარშან წინ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიმეორებთ, წარმოუდგენელია ბულგარეთის მხრივ ასეთი გაბედული ნაბიჯი;

არც ავსტრიელებს და არც გერმანელებს ჰყავთ საკმაო ჯარი ბულგარელების დასახმარებლად, ბულგარები ხელსაყრელ პირობებში არიან, რადგან ბაზა მათ უფრო ახლოს აქვთ, თავიანთ ქვეყანაში იბრძვიან, მოკავშირეებსაც ზედვე არტყიან, ბერლინიდან სოფიამდე რკინის გზები თავისუფალია, მაშასადამე ადვილადაც შეუძლიანთ სამხედრო მასალის მიწოდება და სხვა. სამაგიეროდ მოკავშირეები დაბანაკებული არიან ისეთ ლოკვის ხაზზე. სერესის ჩრდილო-დასავლეთით მოკავშირეთა ჯარები ბარაკლისთან 8 კილომეტრზე მიუახლოვდნენ მტრის ძლიერს პოზიციებს. ცენტრში სასტიკი საარტილერიო სროლაა ბელეშის სამხრეთ კალთებზე და მდ. ვარდარის ორთავ ნაპირის რაიონებში. მოკავშირეებმა წინა დღით დაჰერილს პოზიციებზე ზები მოიმაგრეს. ცერნისა და მოგლენიცეს შუა სერბელთა ჯარებმა აიღეს ბულგართა მოწინავე თხრილები კიკურუზის კალთებზე. ფლორინიდან მოიერიშე ბულგარებს დიდი ზარალი მოუვიდათ. სერბელთა ჯარებმა აქ და ბანიცის მხრით უკან დაიხიეს და მათ აღმოსავლეთით მდებარე მაღლობებზე გამაგრდნენ. ბრძოლა გრძელდება.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ავსტრიელთა მცხოვრებნი რუმინეთში

ამ ბოლო დროს რუმინეთში მცხოვრები ავსტრიელნი ათასობით მიდიან ავსტრიისაკენ. მიზეზი მომავალ ომის შიში გახლავთ. ამის შესახებ ავსტრიის და გერმანეთის მთავრობამ ბუქარესტში განუცხადა გარდასახლებულთ: რამ შეგაშფოთათ, შეგიძლიანთ დამშვიდებით იცხოვროთ, ვიდრე ჩვენ თვითონ არ გაგაფრთხილებთო.

პოლონეთის გარშემო

გერმანული გაზეთები ამ ბოლო დროს ბევრს სწერენ პოლონეთის დამოუკიდებლობის შესახებ გერმანეთის პროტექტორობის ქვეშ. საქვეყნოდ აცხადებენ, თვით პოლონელები ეხლა ძმურის თვალით გვიყურებენო. პოლონელ ტყვეებს, რომელნიც რუსეთის ფრონტიდან წამოუყვანიათ, მალე თავისუფლება უნდა მიენიჭოთ და მომავალ პოლონეთის არმია იმით იქმნეს შედგენილიო. კრაკოვის ინტელიგენცია ოცნებობს, რომ გერმანელთა სიტყვა ლიტონი სიტყვა არ არის, მათგან მოელიან ხსნას, მომავალი პოლონურ-გერმანული ახალი სახელმწიფო გაიზრდება და ჩვენი ბედის ვარსკვლავი აცისკრდებაო.

ტრიესტს ამაგრებენ.

ავსტრიელებს ტრიესტის მიდამოებში აუარებელი ციხე აუგიათ და აგებენ კიდევ. გერმანეთს მიუშველებია ინჟინრები და მათი ხელმძღვანელობით მუშაობას აჩქარებენო.

შეიდემანი

დრეზდენში აუარებელ ხალხის ყრილობაზე რაისტაგის დეპუტატმა შეიდემანმა ზავის შესახებ ილაპარაკა. იგი სასტიკი მოწინააღმდეგეა ნაადრევი ზავისა, ვიდრე „მტერი არ დამარცხდებაო“. ნაადრევი ზავი გერმანელთ გაასაწყლებს, სახელმწიფო გაღატაკდება და დაღუპვის გზას დაადგებაო. „ამიტომ უნდა ბოლომდინ ვიბრძოლოთ,“—დასძინა დეპუტატმა,—ვიდრე ისეთი ზავის პირობები არ შეიქნება, როდესაც გერმანეთის ტერიტორიას და მის ეკონომიურს თავისუფალ განვითარებას აღარავითარი შიში არ ექნება მეტოქე სახელმწიფოებისგანაო“.

ოქროს ფული გერმანიისთვის.

მოსკოვში აღმოაჩინეს ორგანიზაცია, რომელიც ოქროს ფულს აგროვებდა გერმანეთისათვის. ერთს ასეთს წევრს უპოვეს 25 ათასი მანეთის ოქრო, აგრეთვე წიგნები და საბუთები თუ რამდენი ოქრო გაუგზავნია კიდეც.

გერმანელთა პროფესორები.

გერმანელთა ცნობილმა პროფესორებმა მელენდორფმა, ჰირკემ, კარლ ედუარდ მეიერმა, შეფერმა, ვაგნერმა და სხვებმა ომის მეორე წლის თავზე გამართეს ხელმოწერითი მოწოდება, რომ ზავი შეუძლებელია ვიდრე გამარჯვებას უზრუნველს არა ვყოფთ და გერმანეთის ტერიტორია საგრძნობლად არ გაფართოვდებაო.

უკანასკნელი დეპეშები

პარიზიდან იტყობინებიან: მფრინავი დრენდეიან-დე-მულინე ვერდენთან ჰაეროპლანიდან ჩამოვარდა და დაიმსხვრა. მას ჰაეროპლანი გაფუჭებოდა.

—

ფრანგები აცხადებენ: ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია, მაგრამ ეს გამარჯვება ამ ახლო მომავალში არ მოხდებაო. ჩვენს ლექსიკონში სიტყვა „ზავი“ არა სწერიაო.

—

სპარსეთის კაბინეტი გადადგა: ახალ კაბინეთის შედგენა გარეშე საქმეთა მინისტრს მამალეკს მიენდო.

—

მდ. სომაზე გერმანელთა ჯარს მაკენზენი და ჰალვიცი ხელმძღვანელობენ.

—

იორკშირში (ნგლისშ.) სამხედრო მასალების დიდი აფეთქება მოხდა. დაწვრილებით ცნობები ჯერ არ მოსულა. ზარალი და ადამიანთა მსხვერპლი აუწერელი უნდა იყოს.

—

ამ ჟამად ბულგარელების იერიშს მხოლოდ პოლიტიკური ხასიათი აქვსო. ამით ჰსურთ რუმინეთზე გავლენა მოახდინონ.

—

გერმანეთის მთავრობას სოციალისტებისთვის კრების გამართვის ნება დაურთავს სურსათის და ზავის საკითხის გამოსარკვევად.

—

სალონიკის ჯარი ლვოვს და კოველში მოიყვანეს.

—

„ინვალიდი“ სწერს: ძველებურად ჩრდილოეთის და დასავლეთის ფრონტზე სიწყნარეა. რიგის რაიონში გერმანელები დიდს მზადებაში არიან. ამ მიდამოებში გერმანელთა მუშაობიდან სჩანს, რომ როგორც სხვაგან, ისე იქაც ბერმანელები რუსის იერიშების მოსაგერებლად ემზადებიანო.

ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილისა

მცნობთა და ნაცნობთა მოთხრობით ეკატერინე ივანეს ასული კარგად გათლებული ქალი იყო, ბუნებითაც მაღალ გონიერი მანდილოსანი, მის თანამედროვე ქალებში ყველანაირ საქმითაც სახელოვანი და აღმატებული. მამა მისი ივანე ფორაქიშვილი ძველი ადგილობრივი სოვდაგარი იყო და ვაჭრებში კარგად ცნობილი. როგორც ამ ქალის მშობლები გახლდნენ ღვთისნიერნი, თვითონ ეს ქალიც ისეთივე გამოვიდა და თავის ღირსებით მშობლებს ბევრის რამითაც გადააჭარბაო. ღირსეულმა მანდილოსანმა ქმრის ხელში ყოფნა უფრო გამოიყენა, კარგი ენერგიის ადამიანი გახდა, კარგის ცნობილის კაცის ოჯახის და საქმის მარჯვენად გარდაიქცა.

ასეთ ადამიანთ რიცხვი ყველა ოჯახისათვის ბურჯად ითვლება, იგი დიდება არის და ჭეშმარიტი ნიშან წყალი იმ ფილოსოფიურის ღაღადების, რომელთ ძალითაც მოისმის მქუხარედ, რომ მდედრობითი სქესიც იმავ ღირსების არის და იმავ თანასწორობის, რისაც მამაკაცები არიანო. ესეთი თანასწორული ღირსება მდედრობით სქესის მამრობით სქესთან მტკიცდება უფრო ისეთის მაგალითებით, როცა მდედრობით რიცხვიდამაც ვინმეზე აღმატებულს ნიჭიერებას გამოიჩენს, შესამჩნევ რამე საგანს ან თანამედროვე განვითარების მხრით, ან ბუნებითი ნიჭის ზე აღმატებულებით რაიმე სახელოვანს საქმეს შექმნის. სწორედ ასეთ ღაღადებათა და მტკიცების უტყუარი ნიშან-წყალიც ყოფილა, რაც სასახელო უნდა იყოს ჩვენთვის.

იყო დრო, როცა საქართველო სანაქებო ქალებით სავსე იყო, მაშინ ამათი ადამიანური შრომა და ამაგიც უხვი გახლდათ, ეხლა კი, ამ ახალ დროს სამწუხაროდ ჩვენი დედათა გულიც სხვანაირად მოიმართა. დღეინდელი ქართველი ქალი არის სამწუხარო სურათი წარსულის ნაშთის. დღევანდელი დედანი დიდად განსხვავდებიან მათ მომდევართ წინაპრებთაგან, მაგრამ დღესაც ქართველ ქალებში მოიპოვებიან ისეთი სულმნათი დედები, როგორიც იყო ეკატერინე ივანეს ასული. თავის შეძლების დაგვარად ჩვენს საზოგადო საქმეებს ემსახურებოდა, დავითი ზაქარიას ძესთან ერთად ასრულებდა სახელოვან ვალს წინაშე სამშობლო ქვეყნის, დაძინებულ ქართველობის და მით სახელოვნებს დავით ზაქარიას ძესთან ერთად მისი სახელიც.

ეკატერინე ივანეს ასული ქართული მწიგნობრობის მოყვარე იყო და როგორც განათლებული პირი დიდი პატივის მცემელი მწიგნობრობისა, შესანიშნავის ქართველის ნაწერების და მწერლების; ეს ადამიანი ქმართან ერთად სწევდა საერთო უღელს და რასაც დავით ზაქარიას ძე ემსახურებოდა, ადიდებდა და პატივს სცემდა, იმასვე ეს მანდილოსანიც ფაქიზად ასრულებდა. მართალია ამათ თავიანთი შვილები არა ჰყავდათ, უძეონი იყვნენ, მაგრამ კეთილ გონიერნი ამაზედ სულაც არ ფიქრობდნენ, ვინც კარგი და ღირსეული იყო, თავის შვილად სთვლიდნენ. უხეირო გინდ ჩვენი ყოფილა და გინდ სხვის, ეს ორივ ერთია!

ზ. ჭიჭინაძე.

—

ეკატერინე სარაჯიშვილის ანდერძი. ანდერძში მოხსენებულია სხვათა შორის შემდეგი: ყველა მოსამსახურენი, ვინც მსახურებენ ქარხნებში, კანტორებში და სხვა მის დაწერებულებებში, მიიღებენ ერთ დროულ დახმარებას თვე-ნახევრის ჯამაგირის ოდენ დენჯერ—რამდენ წელიწადიც ემსახურებიან.

გუშინ, 8 აგვისტოს, ე. ი. სარაჯიშვილის პანაშვიდზედ, თავადმა დ. ა. გურამიშვილმა შემდეგი სამძიმრის სიტყვა წარმოსთქვა:

„ძვირფასო და დაუვიწყარო ქალბატონო ეკატირინე! მწუხარებით უმზერ შენს კუბოს და თვალწინ ჩვენი პატარ ერის ბედი მელანდება. ეს ბედი ორი სიტყვით გამოისახება: კარგი მიდის, ავი მოდის!.. შენმა გარდაცვალებამ დღეს შენი საყვარელი მეუღლე, ჩვენი დაუვიწყარი დავითი წამოაყენა სამარიდან. სდგებართ ორნი ამ სოფლად, თითქოს უზრუნველნი, ბედნიერნი, დიდის დოვლათისა და სიმდიდრის მქონენი. რალა უნდა იმათ ნეტარებასაო—იტყოდა კაცი. მაგრამ არა, ეს ასე არა იყო: შენ და დავითს ხორციელ სიტკბოებას სულიერი ლტოლვილება გერჩივნათ, და თქვენი ორთავეს მაღალი სული ჩვენ ბედკრულ ერს თავდასტრიალებდა ფარვანასავით. დავითი შრომობდა და ნაშრომს ხალხს ახმარებდა. შენ იმას გვერდში უდექი, ფეხ და ფეხ მისდევდი, როგორც ერთგული მეუღლე და მეგობარი, ამხნევებდი, ჯაფას უადვილებდი შენი გონიერი და მოსწრებული რჩევით და თათბირით.

დავითის შემდეგ დარჩი მარტო, სულით ობოლი, ხორცით სნეული. ჩემ ენას სად შეუძლიან წარმოსთქვას ის საშინელი მწუხარება და ტანჯვა, რასაც შენ განიცდიდი ამ ხუთის წლის განმავლობაში. მაგრამ მკაცრ განგებას მაინც არ ეპუებოდი, ჯანი არ ნოგდევდა, მაგრამ საქმეს მაინც თავს არ ანებებდი, ვინაიდან დავითის ანდერძი გამხნევებდა: განაგრძე ჩემი საქმე, იშრომე და ნაყოფი ერს მოახმარეო. და აი, დღეს შენი დიდებული ანდერძიდან ვხედავთ, რა პირნათლად, რა მტკიცედ და პატიოსნად შეასრულე შენი მეუღლის აღთქმა.

ქალბატონო ეკატერინე, განგებამ შთამომავლობა არ მოგცა. დღეს ამ ძვირფასი ოჯახის კარი საუკუნოდ იკეტება. ნება მიბოძე მოგახსენო, რომ ერთი რამ შენთვის და შენი ხსოვნისთვის არას დროს არ დაიკეტება და ღია დარჩება,—ეს არის შენი მეგობრების გული. ამ გულში არასოდეს არ აღიხოცება შენდამი სიყვარული და თაყვანისცემა შენის პატიოსანის მანდილისა.

მშვიდობით ჩვენო ტკბილო, ჩვენო კეთილო, ჩვენო საყვარელო ქალბატონო ეკატერინე.“

—

ეკ. ივ. სარაჯიშვილის ცხედარს დღეს, დილის 9 საათზე თვის ბინიდან გამოასვენებენ: წირვასა და ანდერძს ქვაშვეთის ეკლესიაში აუგებენ. დაკრძალვა დიდუბეში მოხდება განსვენებულ მეუღლის დავით ზაქარიას-ძე სარაჯიშვილის გვერდით.

განსვენებულის ნათესაობის სახელზე აუარებელი დეპეშები მოდის სხვა და სხვა კუთხიდან. სხვათა შორის მოვიდა სამგლოვიარო დეპეშები ოდესიდან მადლიერ მეღვინეთა სადგურის კომიტეტისაგან, რომელიც სთხოვს გვირგვინით შეამკონ განსვენებულის კუბო კომიტეტის სახელით, თერგის ოლქის ინგუშ სუნიტთაგან, რომელნიც იტყობინებიან, რომ თვის წარმომადგენლებს გზავნიან დაკრძალვაზე დასასწრებლად, კავკავის ქალაქის მოურავის ბაეთისაგან, კავკავის ქართველობისაგან, რომელნიც დეპუტაციას გზავნიან, მცხეთის სამთავრო მონასტრის წინამძღვრის იღუმენია ნინოსაგან და სხვ.

—

გვირგვინის ნაცვლად განსვენებულ ეკ. სარაჯიშვილის ქარხნის მუშებმა დაადგინეს 300 მანეთი შესწირონ ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს.

—

აღაპის ნაცვლად განსვენებულ ეკ. სარაჯიშვილის ანდერძის ნების ამსრულებლებმა შესწირეს 500 მანეთი ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას, 500 მანეთი სათავად-აზნაურო გიმნაზიის უფასო სასადილოს და და 500 მანეთი იაფ-ფასიან და უფასო სასადილოების საზოგადოებას.

—

სამძიმრის დეპეშები

ღრმად დაგვაღონა და უსაზღვროდ დაგვამწუხრა იდეურ ქველმოქმედის და სახელოვან ქართველ ქალის ეკატერინე სარაჯიშვილის გარდაცვალებამ.

ფოთის ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელი ტყემალაძე.

ახალი ამბავი

სახახლეში. მეფის ნაცვალს სადარბაზოდ წარუდგა კოჯორში ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი თ-დი ვ. ნ. შახოვსკი, რომელიც შემდეგ საუზმეზე იქმნა მიწვეული.

ხორცეულობის აღკრძალვის კანონი ხვალიდან შედის ძალაში.

სასწავლებლებში. თბ. სახელოსნო სასწავლებელი საზოგადო სახელოსნო სასწავლებლების დებულების სასწავლებლად უნდა გადააკეთონ, რათა ამ სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ უფლება მიეცეთ მეორე ხარისხით ისარგებლონ ჯარში გაწვევის დროს.

— მასწავლებელ ქალთა სკოლა, რომელიც თბილისში 25 წელიწადია რაც არსებობს, კავკ. სამოსწავლო ოლქის უფროსის განკარგულებით საშუალო სასწავლებლად იქმნა გადაკეთებული.

— ვაჟთა მეორე გიმნაზიაში მისაღები გამოცდა უმცროს საშუალო და 1 კლასში 20 და 22 მარიამობისთვეს არის დანიშნული. დანარჩენ კლასებში ადგილები არ არის. განმეორებითი გამოცდა და აგრეთვე მოწმობის მისაღები გამოცდა სხვა კლასებში დანიშნულია 19—27 მარიამობისთვეს.

— მეორე საკომერციო სასწავლებელში განმეორებითი გამოცდა დანიშნულია 22 მარიამობისთვეს, მისაღები მოსამზადებელ და 1—6 კლასში 25 მარიამობისთვიდან.

ავტომობილის მსხვერპლი. 9 მარიამობისთვეს ნაშუადღევის 2 საათზე სალდათის ბაზრის და რუსის ქუჩის კუთხეში ქალაქთა კავშირის ავტომობილი № 5 წამოეწია 10 წლის ბავშვს არტაშს ამიროვს და ზედ გადაუარა. საბრალო ბავშვი იქვე გარდაიცვალა. გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. შოფერები იყვნენ მ. აკოფოვი და ი. ჯაბაშვილი.

ლტოლვილთა შორის. მეფის ნაცვლის საბჭომ 10 ათასი მანეთი გადასდო ეჩმიაძინში ქალაქთა კავშირის საკვებ სადგურის დასაარსებლად.

— ლტოლვილთა მოშწყობ მთავარ-წმუნებულმა გენ. თამამშევმა განკარგულება მოახდინა, რათა ქალაქთა კავშირს ნაღდ ფულით ან სესხით მიეცეს საჭირო რიცხვი ფქვილისა საკვებ სადგურებისთვის.

საიმპერატორო სამგურნეო საზოგადოების საბჭოს სხდომა 9 მარიამობისთვეს შესდგა. კრებამ განიხილა ანგარიში საბაღოსნო სკოლის 7 თვის განმავლობაში და ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ ნ ოვისა. სკოლის დეფიციტი 10 ათას მანეთს უდრის. საბჭომ დაადგინა—გამოძებნოს საშუალებანი ამ დეფიციტის დასაფარავად, მანამ კი საზოგადოების კასიდან ეძლიოს სკოლას საჭირო ფული.

თ. ჟორდანიას ავადმყოფობა. ჩვენი ისტორიკოსი თედო ჟორდანია თბილისში ჩამოვიდა საექიმოდ. თვალებს იტკივებს და საერთოდ ძალიან სუსტად არის. სამშაბათს, 9 აგვისტოს, ავადმყოფი გასინჯეს ქართველმა ექიმებმა სპ. ვირსალაძემ, მიხ. გედევანიშვილმა და ვახტ. მუსხელიშვილმა. ექიმთა კონსილიუმის (თათბირის) აზრით თ. ჟორდანიას ძლიერი „არტერიოსკლეროზი“ აქვს და ნერვების სისუსტე. მას ხანგრძლივი ელექტრონით წამლობა დასჭირდება. დღეს ავადმყოფს მოათავსებენ მიხ. გედევანიშვილის ელექტრონის საავადმყოფოში (ყორღანოვის ქუჩა № 20). როგორც გავიგეთ, თ. ჟორდანია წამლობის შემდეგაც მუდმივ თბილისში იცხოვრებს.

საბაღოსნო სკოლაში მოწაფეთა გამოცდა სპეციალურ საგნებში დანიშნულია 22 და 23 მარიამობისთვეს, ხოლო მისაღები გამოცდა 2 გიორგობისთვეს, ნაცვლად 15 გიორგობისთვისა.

საზოგადო კრება. ამხ. „ქართლის“ წევრთა საზოგადო კრება, ნაცვლად 7 მარიამობისთვისა, გადაიდო 15 მარიამობისთვისათვის და შესდგება ქ. გორში, ქალაქის თვითმართველობის სახლში, დილის 11 საათზედ.

ხოლერა. 9 მარიამობისთვეს დილის 8 საათზე საავადმყოფოში № 40, ხოლერიანი ავადმყოფი იყო 15, მოიყვანეს ახალი ავადმყოფი 6: 1) ელ. მარგასოვა, 5 საპ. უბნიდან ვორონცოვის ქ. 91, 2) მარ. გევორქოვი 24 წ. იმავე სახლიდან, 3) მარ. სარქისოვისა 50 წ. 5 საპ. უბნიდან საიათოვის ვიწრო ქუჩა № 7, 4) ორლოვი რ. შტაბის ქვეითა ჯარისკაცი 128 დივიზიისა განმანაწილებელ ჰოსპიტლიდან, 5) მიკაილ ოღლი იზმაილ ხანი 35 წ. რკინის გზის საავადმყოფოდან, 6) ქიარიმ აბას ოღლი 35 წ. გერმანელი ახალშენიდან (დიდუბე). საეჭვო ავადმყოფთაგან გადაყვანილ იქმნა ხოლერიანებში: 1) მარკ პუშჩინი. გარდაიცვალა ხოლერისაგან ძამაშვილი იასონი. 10 მარიამობისთვეს დილის 8 საათზე ხოლერიანი ავადმყოფი იყო 12. მოიყვანეს საეჭვო: 1) მახმედ აღა ოღლი 19 წ. რკინისგზის საავადმყოფოდან, 2) დარჩო არუთინოვი 4 წ. 3 საპ. უბნიდან, 3) მათაღა ოსეპიანცი 40 წ. 6 საპ. უბნიდან ფერმა ავლაბრის ქ. სახლი ოტმიანცისა, გადაყვანილ იქმნა საეჭვოდან ხოლერიანებში მარკ პუშჩინი. 10 მარიამობისთვეს დილის 8 საათზე საეჭვო ავადმყოფი იყო 5. 9 მარიამობისთვეს გერმანელთა ახალშენში მოიჯარადრე აკოპოვის სახლში აღმოაჩინეს ორი მუშის გვამი რომელნიც ქალაქის პროზექტურაში იქმნენ გაგზავნილი. მუშები მიკაილ ოღლი და მაჩმედ აღი ოღლი ამავე აკოფოვის სახლიდან მოიყვანეს.

ჟუთაისი.

4 მარიამობისთვეს ჟუთაისის სავაჭროებში მოსამსახურენი გაიფიცნენ. მათ წარდგენილი ჰქონდათ ეკონომიური მოთხოვნილებები. სავაჭროების პატრონებმა პასუხი არ გასცეს.

— ჟუთაისის საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ბ-ნი კრ. ივ. შენგელია, როგორც გავიგეთ, ინიშნება საავადმყოფოს უფროს ექიმად.

დ. ზესტაფონი.

აქაურ ვაჭრებს მოუვიდათ ამ დღეებში ერთი ვაგონი შაქარი, რომლის დაჭერა სდომებია ი. ღუნცაძეს.

— ცისმარე დღეს სვა და სხვა მოიჯარადრენი თავს უყრიან და მიჰყავთ მუშები სხვა და სხვა ადგილებში. რა პირობებში მოუხდებათ მათ მუშაობა, არავინ იცის...

— სიმინდსა და ვენახის მოსავალს აქეთკენ სრულიად არ მოელიან. სხვაგან თუ იყო წვიმა, აქეთ კვლავ გვალვაა.

— ახალ სცენის გახსნა მოხდა 7 მარიამობისთვეს და პირველი წარმოდგენაც გაიმართა.

თელავი.

შაბათს 6 მარიამობისთვეს აქაურ სცენის მოყვარეთა წრემ, მსახიობ კორიშელის ხელმძღვანელობით დასდგა მესამე სახალხო წარმოდგენა—წარმოადგინეს: ი. გედევანიშვილის 3 მოქ. დრამა „მსხვერპლი“. წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა და ხალხიც ბევრი დეესწრო.

სოფ. მეჯვრისხევი.

მას შემდეგ, რაც გაზეთებში აღინიშნა, რომ აქაური ბიბლიოთეკას მეთვალყურეობა აკლდა და ხშირად დაკეტილი იყო, ბიბლიოთეკა-სამკითხველო ყოველ დღე ღიაა და საზოგადოებაც დაიარება.

ბურია.

საკმაოთ აგრილდა, მკათათვის უკანასკნელ დღეებში ღრუბლიანი დღეები იყო და ცოტ-ცოტა კიდეც წვიმდა. ჰირნახული მშვენიერია და აღრეც შემოვა, „ადესა“ უკვე „შეითვალა“ (შეწითლდა). ასე რომ სამარიობოში ბევრ ადგილას მაჭარს დააყენებენ.

— ბახმაროდან მოჰაერეებმა უკვე იწყეს ბარად ჩამოსვლა, მაგრამ ცუცხნობის გამო 15--20 აგვისტომდე ყველა ვერ ჩამოვა.

— წითელ და ლურჯ ბილეთიანების გაწვევამ უკვე მთელი გურია შეაფოთრიაქა, ბევრმა ვაჭარმა გამოაკრა განცხადება „ჯარში გაწვევის გამო ყველაფერს ვყიდიო“, ზიგი ვაჭარიც დარაჯად („სტრაჟნიკად“) ჩაეწერა. გურიის მარჩენალს, შინ და გარედ მოუშავეს ყველას იწვევენ. ყანებიც აუღებელი დარჩება და ყურძენიც მოუკრეფელი.

— ოზურგეთში შაქარი სულ აღარ იშოვება, პურის ფქვილიც სულ ადრე გამოიღევა. ქალაქისათვის ბათუმს დაუთმია ერთი ვაგონი ფქვილი, მაგრამ ქალაქის თავის მოადგილეს ნაცვლად იმისა, რომ კოოპერატივისთვის გადაეცია, კერძო ვაჭრებისათვის დაუთმია.

— დარბევის დღეებში შიშის გამო მეფართლეებმასავაჭროები სანახევროთ დასცალეს, ფასი ვითომ დაუკლეს, მაგრამ რას, როცა გასაყიდი თითქმის აღარაფერი მოეპოებათ.

——

შეცდომის გასწორება

გუშინდელ მეთაურში **დაბეჭდილია:** და სარწმუნოების მხრივ ამგვარად დატოვებული ქართველობა...

უნდა იყოს: და სარწმუნოების მხრივ ამგვარად დატოტებული...

—

Homo novus ის წერილში **დაბეჭდილია:** მიწა-ადგილების „დაპყრობა“-„დაჭერა“ და საერთოდ შოვინისა და შეძენის პსიხოლოგია ყოველის **შემცვლელ** სულის კვეთებად გადაექცა უცხოთა შორის უმწეოდ ჩაჩხირულ სომხობას.

უნდა იყოს: ...ყოველის **შემცველ** და სხვა.

გულდამწყარი მღვდელი იროდიონ თურქაძე მეუღლით და შვილებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, დაუვიწყარი შვილის პირველი პრაპორშჩიკების მკოლის იუნკერის

დავით იროდიონის ძის

თ უ რ ქ ა ძ ი ს

უდროოდ გარდაცვალებას.

მიცვალებულის გამოსვენება დღეს, 11 საათზე, არამიანცის საავათმყოფოდან კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდი დაიწყობა 9 საათზე, საავათმყოფოს ჩასაენიაში.

ჩვენი განკეგი და კოოპერაცია

II

ჩვენი სასოფლო სამეურნეო ბანკი ვაჭრებს არ ეფერება, მაგრამ არც ვაჭრებისთვის არის ეს ბანკი მიმზიდველი და სახარბიელო მისი წესდებისა და ბანკში გამეფებულ წესის გამო. წესდების რედაქცია მოწმობს, რომ მის ავტორს ბანკი და საბანკო ლექსიკონი ნაკლებად სცოდნია. მთელს წესდებაში ერთხელაც არარის ნახმარი სიტყვა „კრედიტი“.

აქ ამბობს: ვინც მსურველად შევიდეს საზოგადოებაში წევრად, უნდა შეიტანოს თხოვნა (?) და უნდა აღნიშნოს იმ ჯამის რაოდენობა, რომლის პასუხისმგებლობასაც (?) კისრულობს იგი თავის თავზე საზოგადოების ოპერაციებში.

ყველგან მიღებულია, რომ ამ საგანზე განცხადება შეიტანონ საზოგადოებაში და არა თხოვნა. და ამ განცხადებაში აღნიშნავენ კრედიტის რაოდენობას, რაც შეეხება პასუხის მგებლობას, ამას საზოგადოება ავალებს თავის წევრს მას შემდეგ, როცა მას კრედიტს გაუხსნის და პასუხი უნდა აგოს სწორედ გახსნილი კრედიტის ფარგალში.

რასაკვირველია, ამ გარამოებას ბანკის საქმეზე გავლენა არ ექნება, და ჩვენ აღვნიშნეთ ეს, როგორც კურიოზი. და ამ გვარი კურიოზი ბევრია წესდებაში. მე-2-რე ნ—ში კრედიტის მაგიერ ნახმარებია სიტყვა პასუხის მგებლობა; აგრე ბანკის წესდების მე 4, 5, 9, 10 მუხლებშიაც. გამოდის, თითქოს წევრები ამ საკრედიტო საზოგადოებაში შესულიყვნენ პასუხისმგებლობის სიყვარულისთვის და არა კრედიტის მისაღებად!

მეხუთე მუხლში სწერია; საზოგადოება გაიხსნება და დაიწყებს მუშაობას, როცა ეყოლება 50 წევრი და მათ მიერ შემოტანილი ძირითადი თანხა 25,000 მ. ხოლო მეოთხე მუხლის ძალით არავის არ ჰქონდა უფლება საწევრო გადასახადი ჯერ 50 მანათზედ მეტი. შემოეტანა 507250= 12,500 მ. დანარჩენი 12,500 მ. საიდან უნდა მოეტანათ, აღაჰმა უწყის. ან კიდევ, მეოთხე მუხლში სწერია: უმცირესი ჯამი, რომლის პასუხისგებლობასაც წევრი ღებულობს თავისთავზე საზოგადოების ოპერაციების მიერ გამოწვეულ ვალსა და ზარალში განისაზღვრება 100 მანეთით; ხოლო უდიდესი შეიძლება ამ უმცირეს 50 ჯერაც ღემატებოდეს. ეს მუხლი ჩვენ აქ შემოკლებით ვთარგმნეთ, და ვთხოვთ მკითხველს თვითონ გადასინჯოს დედანი. მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ ამ უმცირესი საპასუხისგებლო ჯამის გამრავლებას 50 ჯერ. ასეა ნათქვამი რუსეთის კანონების კრებულის მეთერთმეტე ტომში, სადაც ზოგადი ნორმებია დაწესებული საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებისათვის. მაგრამ იქ უმცირესი და უდიდესი კრედიტის განსაზღვრა მინდობილია კერძო წესდებაზე, და ამიტომ განსაზღვრულია მხოლოდ შუა მახძილი, ამ ორი კრედიტის რაოდენობით ურთიერთობა. იქ ნათქვამია, რომ უდიდესი კრედიტი შეიძლება 50 ჯერ აღემატებოდეს უმცირესს და არა მეტჯერო. ხოლო კერძო წესდებაში ასე არ სწერენ, იქ აღნიშნავენ უმცირეს და უდიდეს კრედიტს ციფრების დასახელებით ისე, რომ მეორე პირველზე 50 ჯერ მეტი იყოს, მაგ. ჩვენი ბანკის წესდებაში უნდა ყოფილიყო ნათქვამი: უმცირესი კრედიტისა განისაზღვრება 1000 მანეთით, ხოლო უდიდესი არ უნდა აღემატებოდეს 50,000 მანეთს.

მაგრამ ეს კიდეც კურიოზებია და წვრიმალები, რომელიც წესდების ტეხნიკის მხარეს შეეხება მხოლოდ. მაგარი და ვაგლახი ის არის, რომ უდიდესი კრედიტი ჩვენი ბანკის წესდებით არ აღემატება 5000 მანეთს და ისიც წევრებს შუაზედ გაყოფა გამგეობის მიერ შემოღებულ **ჩვეულებით** (!). ამა 2,500 მანეთის კრედიტი ვარგიანი ვაჭარისათვის რა კრედიტია. საერთო საკრედიტო კანონის ძალით კი ერთი საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების წევრს არა აქვს ნება შევიდეს წევრად მეორე საზოგადოებაში. ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენი ვაჭრები არ ეტანებოდენ ჩვენს სამეურნეო ბანკს და თან. არც გამგეობა სცდილობდა ისინი მოემხრო. ეს ბანკს დიდ და შეუნანიებელ ცოდოდ უნდა ჩაეთვალოს. სოფლის მეურნეობას კრედიტი ვერ მიაწოდეს და საზოგადოთ დახმარება ვერ აღმოუჩინეს და ჩვენ ვაჭრებსაც, რომელნიც კრედიტის მხრივ მუდამ შევიწროებული იყვნენ, კრედიტი ვერ გაუხსნეს. მაგრამ იქნება ფული არა ჰქონდათ? ამას გავიგებთ, თუ ანგარიშებს გადავათვალიერებთ.

1914 წ. ანგარიშიდან სჩანს, რომ ბანკს ჰქონია მიბარებული ფული სულ 823,886 მ., ნაღდი ფული თავის კასაში 110,456 მან. გაბარებული სხვა ბანკებში 20,777 მან.

საზოგადო წესი და კანონია, რომ ბანკს თავის კასაში ვალის მეათედი უნდა ჰქონდეს. ხოლო სხვა ბანკებში გაბარებული ფული ნაღდის რიცხვში ითვლება; ვალად ითვლება მიბარებული და ნასესხი. ამ ანგარიშით ჩვენი ბანკისათვის საკმარისი იყო 82,388 მ. ნაღდი ფული, და მას ჰქონია 110,456+20,777=131,233 მან. ე. ი. შეეძლო კიდევ გაესარგებლებია 48,845 მან. და ამას უნდა მოუმატოთ, როგორც ანგარიშიდანა სჩანს, თავისუფალი გაუხმარებელი კრედიტი 325,083 მან. ე. ი. ბანკს უსარგებლოდ დაუგდია 373,928 მ. საშუალება. ამას ისიც უნდა დავსძინოთ, რომ გამგეობა ვერ იმართლებს თავს ფულის უქონლობით. ბანკის გამგეობის სივარგე და სიმარჯვე იმაშია, რომ მან ფულიც უნდა იშოვოს და კიდეც კარგათ გაასარგებლოს. ჩვენში კი ფული ბევრია,— ჩვენი ხალხისა და საზოგადოების ფულით მუშაობენ უცხოელების ბანკები, ჩვენ ეს დანამდვილებით ვიცით. ეს გარემოება ჩვენი უვარგისობის შედეგია. ჩვენი საზოგადოება ჩვენ ბანკს არ ენდობა და ფული სხვის ბანკში მიაქვს მისაბარებლად. ან როგორ უნდა ენდონ? 1914 წ. ანგარიშიდანა სჩანს, რომ სარგებლიანი ქალაქდების გირაოს ქვეშ გასესხებული ჰქონია ბანკს 99,715 მ. და საქონლის გირაოს ქვეშ (ссуды подъ залогъ товаровъ и товарныхъ документовъ) 15,000 მ. ეს ისეთი მცირე ოპერაციაა, რომ სათვალავში არ მიიღება. სარგებლიანი ქალაქდების ყიდვა-გაყიდვას ბანკი სრულებით არ აწარმოებს, მაშინ როდესაც ბანკი ვალდებულია ეს ოპერაცია აწარმოოს. ჩვენი საადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლების ყიდვა-გაყიდვას აწარმოებს ჯიდაც მოშიაშვილი. თუ იმათთვის შესაძლო და ხელსაყრელია, რატომ ჩვენ ბანკს არ შეუძლია ეს საქმე თავს იდვას. მაშინ უთუოდ ამ ქალაქდების ფასი აიწევდა, და ეს ფასის აწევა საზოგადოებასაცა და ბანკსაც დიდ სარგებლობას მოუტანდა.

1915 წ. ანგარიში მთლად განსაცვიფრებელია. ბანკს ჰქონია მიბარებული ფული სულ 1.294,032 მ. მაშასადამე, მის კასაში უნდა ყოფილიყო ნაღდი 130,000 მან. ნამდვილად კი ჰქონია კასაში—55,268 მან. და სხვა ბანკებში გაბარებული—490,413 მან. სულ 546,381 მ. ბანკს ფული მიაბარეს და იმან ვერაფერი მოუხერხა და სხვას მიაბარა. ცოტა დაჰკლებია, რომ მიბარებული ქანქარი მიწაში ჩაეფლო.

ბანკის გამგეობამ წესდება უნდა გადაათვალიეროს და გაასწოროს. ყოველ შემთხვევაში მეოთხე მუხლი უნდა გამოიცვალოს ჩვენის აზრით ამგვარათ: Найменьшій размѣръ суммы кредита для каждаго члена общества опредѣляется въ 500 рублей, а найбольшій устанавливается совѣтомъ, но не можетъ превышать 25,000 руб.

როცა ბანკი ამგვარ კრედიტს გახსნის, მაშინ ჩვენ ვაჭრებს შეეძლებათ ისარგებლონ მისი დახმარებით. შეიძლება გამგეობამ გვიპასუხოს, რომ ბანკს ბევრი ჰყავს მცირე კრედიტიანი წევრებიო. ამისათვის არსებობს ქვეყანაზე ლიკვიდაციური საშვალება. მცირე კრედიტიანი წევრები წვრილ კრედიტის ამხანაგობაში გავგზავნოთ. ბანკს ჰყავს რამოდენიმე წევრი თბილისის ახლო-მახლო სოფლების გლეხობიდან და ამით ინუგეშებს თავს, რომ ის სასოფლო მეურნეობას ეხმარება. ეს გლეხები უთუოდ წვრილ კრედიტის ამხანაგობაში უნდა გავგზავნოთ და ისინი იქიდან უფრო მოხერხებულად ისარგებლებენ,—ვექსილების ყიდვა მაინც არ დასჭირდებათ, უბრალო ქაღალდზე და ქართულად დაწერილი ხელწერილს ჩამოართმევენ, და იმათთვის ესეც საქმეა. სოფლის მეურნეობის დახმარება მარტო თბილისის ახლო-მახლო არ უნდა იყოს დამყარებული, და ამისათვის ამას სხვაფრივ უნდა მოევლოს.

როცა ჩვენი საკომერციო ბანკის აქციებზე ხელის მოწერა იყოს გამართული, მე დავაკვირდი და დავინახე, რომ ჩვენ ვაჭრებს ხელმომჭირნეობა ეტყობოდა, და არც არიან გასამტყუნარნი. ვაჭარმა რომ ბევრი ფული დააბანდოს აქციებში, გაჭირვების დროს რა ჰქნას? თავის აქციებს თავისავე ბანკში ვერ დააგირავებს, და აბა სად წავიდეს? ჩვენი სასოფლო-სამეურნეო ბანკი რომ ვაჭრებს დამეგობრებოდა, გააგებინებდა იმათ, რომ აქციების დაგირავებით ფულის სესხება შეიძლება ამ ბანკიდან.

III.

სასოფლო სამეურნეო ბანკს, როგორც დავინახეთ ანგარიშებიდან, სასოფლო მეურნეობისათვის არავითარი დახმარება არ აღმოუჩენია. ძველათ ამ გვარი დახმარება ძნელი იყო, რადგან სოფლებში არავითარი ორგანიზაცია არ არსებობდა. 1908 წლიდან კი ყველგან რუსეთში და ჩვენშიაც ვრცელდება წვრილ კრედიტისა და კოოპერაციების ამხანაგობა. აი ბანკსაც საშუალება ეძლევა, დახმარება აღმოუჩინოს სოფლის მეურნეობას. ბანკს ცალკე პირებთან კი არ უნდა ჰქონდეს ურთიერთობა, არამედ სოფელში არსებულ ამხანაგობას უნდა მიმართოს, წვრილ კრედიტის ინსპექტორის საშუალებით. ისინი კი დიდის სიამოვნებით დაეხმარებიან ბანკს. ამ ამხანაგობათ რაც საჭიროა, იმდენი კრედიტი უნდა გაუხსნას და თანაც შეეკითხოს, სხვა რა დახმარება სჭირდებათ ან ყიდვაში ან გაყიდვაში. მაგ. შარშან ბანკს შეეძლო ჩვენი სოფლის მეურნეობა ეხსნა სრულებით დაღუპვისაგან. ჩვენ ვიცით, რომ თუ ვენახი ერთი ზაფხული უწამლოთ დარჩა, ის სამუდამოთ იღუპება, და წრეულს კი ბევრი შევენახე ვერ იშოვის შაბიამანსა და გოგირდს ფრიდონოვისა და მოსკოვის სახალხო ბანკის გადამკიდე. განა ჩვენს ბანკს არ შეეძლო ეს მასალა დაებარებინა? ბანკს გაბარებული ფული ჰქონია შარშან 490,000 მან. და გაუხმარებელი კრედიტი სხვა ბანკში 325,000 მან. თუ ეს ფული არ ეყოფოდა სახელმწიფო ბანკი გაუხსნიდა კრედიტს. რამდენიც დასჭირდებოდა.

საჭიროა ეხლა მაინც ყური გამოიბერტყოს გამგეობამ და შეეკითხოს სოფელს რა სჭირდება: მაშინები, თესლები, წამლები და სხვა ამ გვარი, და ან რა აქვს გასახალებელი. ყველა ამაში წვრილი კრედიტის ინსპექტორები დაეხმარებიან.

ბ. გ.

პირველ რუსთაველზე

ბ. მემედიც გამომკამათა. იგი ჰცდილობს შეიტანოს არა მარტო ფაქტიური შესწორება იმ შეხედულებაში, რომელიც ამას წინად მე გამოვსთქვი „საქართველოში“ რუსთაველის შესახებ.

აი მოკლედ უმთავრესი მომენტები უთანხმოებისა.

მე ვამბობდი: „იდეა თანასწორობისა (მსოფლიო ძმობისა) პირველად გამოაცხადა ქრისტეს ღვთაებრივმა მოძღვრებამა“.—ამის შესახებ ბ. მემედი სწერს: „ჩვენ ამგვარ თანასწორობას თუ დავაკვირდებით, წინასწარმეტყველის დიდებული მოსეს ათ მცნებაშიაც დავინახავთო“.

აქ რაღაც გაუგებრობაა. მსოფლიო ძმობაზე მოსე წინასწარმეტყველს არამც თუ არაფერი აქვს ნათქვამი, პირიქით, მთელი მისი სჯულმდებლობა და მთელი ძველი ისტორია ებრაელობისა მიმართულია სწორედ ამ იდეის წინააღმდეგ. ებრაელობა მხოლოდ თავის თავს ჰრაცხდა ღვთის მიერ ამორჩეულ ერად და იდეურად სრულებით გამოთიშული იყო დანარჩენი კაცობრიობისაგან. ქრისტიანობამ კი პირველად გამოაცხადა—„არ არს არც ჰელინი, არც ებრაელიო“, ე. ი. იდეა თანასწორობისა ან მსოფლიო ძმობისა პირველად ჰმოჰყვა ქრისტიანობის ნათელს. უფრო ღრმად ამ იდეის გენეზის გამოკვლევას აქ არ შეუდგები,—სად არის ამისთვის ან დრო ან ადგილი?

რუსთაველიც სწერია ამ იდეის მხსენებელ: მისთვის არსებობს მხოლოდ **ადამიანი**, და არა კაცი, მხოლოდ **ბუნება**, და არა კულტი, მხოლოდ **სული** და არა ნივთიერება...

—

მე ვამბობდი: „დამიმტკიცეთ ან მუსულმანურ საღმრთო წერილიდან, რომ დედაკაცს სამუსულმანოში აქვს ან ჰქონია ასეთი **უფლება**-მეთქი“.—ამის შესახებ ბ. მემედი სწერს: „ბ. გვაზავა კატეგორიულად აცხადებს: პატივისცემის იდეა აღმოცენებულია საქრისტიანო კულტურის ნიადაგზეო“. —უკაცრავად: ქალის პატივისცემაზე მე სრულებით არა მითქვამს რა. მე ვამბობ უფლებაზე და არა პატივისცემაზე, უფლება სხვაა, პატივისცემა სულ სხვაა, არ უნდა გარიოთ ერთმანეთში.

თუ კი უფლებაზე მიაქვს ლაპარაკი, თავდაპირველად უნდა მიჰმართოთ თვითონ უფლების წყაროს სამუსულმანოში. ასეთი წყაროა თავდაპირველად **ყურანი**. აი სწორედ ყურანის შემწეობით უნდა დამიმტკიცოთ, რომ დედაკაცი უფლებრივად თანასწორია მამაკაცთან, რომ მას აქვს მინიჭებული სხვა უფლებასთან ერთად აგრეთვე საქალიფატო ტახტის მემკვიდრეობაც. მაშინ (და მხოლოდ მაშინ) შეიძლება კიდევ ვიგულვოთ, რომ თინათინი, როგორც იდეის განსახიერება, შეიძლება აღმოცენებულიყო სამუსულმანო კულტურის ნიადაგზე. მარა—წინდაწინ გეტყვით—ამას თქვენ ვერ დაამტკიცებთ!

თუ თვით უაღრესი უფლებრივი წყარო არაფერს ამბობს, მარტო ფაქტებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ვსთქვათ, თქვენ მოჰკალით კაცი—ეს იქნება ფაქტი. ნუ თუ ამ ფაქტიდან თქვენ ის დასკვნა უნდა გამოიყვანოთ, რომ გქონიათ უფლება კაცის მოკვლისა?! ბ. მემედი ყურანის შესახებ არაფერს ამბობს, თითქო იმას არავითარი დამოკიდებულობა არა ჰქონდეს საკამათო საგანთან და მოჰყავს ვითომ და ისტორიული ფაქტები.

ჯერ ერთი, თქვენგან დასახელებულ ქალებს ისტორია სულ არ იცნობს... რას იზამ, ჩემო კარგო, ეს საძაგელი ევროპიელი მწერლები სულ ყურადღებას არ გვაქცევენ!.. მერე თქვენ თვითონ ბრძანებთ: „აგრეთვე კუტბუდინ შაჰის ასული, პოეტი ჰათუნის ისტორია, რომელმაც მოჰკლა თავისი ძმა და სამეფო ტახტი წაართვაო“... თუმცა ბ. მემედი მე მისწორებს სტილსა და ენას, მარა მაინც უნდა შევნიშნო, რომ ეს „ისტორია, რომელმაც მოჰკლა თავისი ძმა“—ძალიან გაბედული აზრია. მიუხედავად ამისა, ნუთუ ვერ ამჩნევს ბ. მემედი, რა საცილო წინააღმდეგობაში ვარდება იგი? მის მიერ მოყვანილი მაგალითი სწორედ ამტკიცებს ყოველ უფლების შელახვას. „ძმა მოჰკლა და ტახტი წაართვაო“—ეგ არის უფლება?! თუ ასეთივე შინაარსის და ხასიათისანი არის დანარჩენი მაგალითებიც, დამეთანხმებით, არა ჰღირს მათზე შეჩერება. ფაქტი—ფაქტია, უფლება სულ სხვაა, არ უნდა გაჰრიოთ ერთმანეთში.

—

ბ. მემედს მოჰყავს კიდევ მრავალი სახელი ცნობილი ქალებისა: ყოფილან მეცნიერნი, მუსიკოსნი, პოეტნი... მე ამის წინააღმდეგ სრულებით არა ვარ. რა საკვირველია, ბევრნი იყვნენ და არიან განათლებული ქალები სამუსულმანოში, მარა განათლება სხვაა, უფლება—სულ სხვა, არ უნდა გავრიოთ ერთმანეთში.

—

ბ. მემედი დიდის მედიდურობით განგვიმარტებს, თუ რასა ჰქვიან ჰარამხანა. სამწუხაროდ მის მედიდურობას აქაც ფრთები უნდა დავაშვებინო. ჰარამხანა რომ ოჯახია, ეს რა საკვირველია, ეჰვს გარეშეა. ბ. მემედის განმარტება ამის იქით კი არ მიდის. საკამათო საგანი კი სწორედ ამ განმარტების იქითა ჰძევს. ჰარამხანა შეიძლება იყოს აღსავსე ყოველი ზნეობრივი სიფაქიზით, მარა როგორც უფლებრივი დაწესებულება, იგი შეზღუდულია. პოლიტიკურად მაინც დედაკაცს არა აქვს ნება ცხვირიც კი გამოჰყოს ჰარამხანიდან: დედაკაცი მასში თითქმის **პატიმარია**.

მეთორმეტე საუკუნეში, თითქმის ერთ და იმავ დროს, კაცობრიობის ცაზე აინთო ორი დიადი ვარსკვლავი: რუსთაველი და ბურხან-ედინ-ალი. ორივე გენიოსია, თუმცა ეკუთვნიან ორ სხვა და სხვა დარგს საკაცობრიო შემოქმედებისას. ერთი პოეტია, მეორე—იურისტი.

მეცნიერებაში ბურხან-ედდინ-ალი ცნობილია, როგორც უმთავრესი კომენტატორი და კოდიფიკატორი მუსულმანთა უფლებისა. ამიტომ იმისი აზრი და შეხედულება დედა-კაცზე მეტად საინტერესოა. აი რას ბრძანებს იგი თავის ცნობილ კრებულში, რომელსაც „ჰიდაი“ ეწოდება:—„ყოველთვის საეჭვოა დედაკაცის ჭკუა და მეხსიერებაო“...—„ქმარი ვალდებულია მისცეს სარჩო თავის ცოლსა ისე, როგორც სახელმწიფო ვალდებულია მის-

ცეს სარჩო ციხეში დამწყვდეულ პატიმრებსო"... და სხვა... ამ იდეით გამსჭვალულია მთელი კანონმდებლობა.

შეაფარდეთ ეხლა ეს მსოფლიო მშვრეტელობა იმას, რომელიც დასურათებული აქვს რუსთაველს თავის თხზულებაში და... და დასკვნა თქვენ თვითონ გამოიყვანეთ.. თუ საჯაროთ ვერა, სინიდისის წინ უსათუოთ აღიარებთ: მართალია, ეს ორი შეხედულება დედაკაცზე დიამეტრულად სხვა და სხვაობენ. ნესტან-დარეჯნის ჭკუა ეჭვს გარეშეა, თინათინი კი მეფეა და არა ჰარამჰანის პატიმარი.

—

მე ვამბობდი, რომ „მუსაფი“ რაიმე სალმრთო წიგნია. ამაზე მიპასუხებენ, რომ არაბულად „მუსაფი“ ყურანსა ჰქვიანო. ეს შეიძლება და აგრეც უნდა იყოს: არაბები—მუსულმანებია და მუსულმანების სალმრთო წიგნი, რასაკვირველია, ყურანია, მაგრამ აიღეთ ქრისტიანი არაბი, დაეკითხეთ მას და ის უსათუოდ გიპასუხებს, რომ იმისთვის „მუსაფი“ სახარებაა და არა ყურანი; ებრაელი არაბი მიგითითებს ტალმუდზე და აგრე სხვანიც... რუსთაველს აქვს ნახმარი მხოლოდ სიტყვა „მუსაფი“ და წერტილი ჰხის. ჩემს მოკამათეებს უნდათ ეს წერტილი როგორმე გადაჰლახონ და ჩააკერონ „ყურანი“. სამწუხაროდ ვერ ამჩნევენ, რომ ამ უადგილო ჩხირკედელაობით და თავიანთ ცოდვილის კალმის წვერით რუსთაველის გვირგვინიდან აძრობენ ერთს უძვირფასეს თვალს. რუსთაველის მსოფლიო-მშვრეტელობა უფრო ვრცელი და განიერია, ვიდრე ყურანი, ტალმუდი, ვედა ან სხვა რაიმე სალმრთო წიგნი.

—

მე ვწერდი სხვათა შორის: „როგორ მოჰხდა, რომ რუსთაველის გმირები მუსულმანები ყოფილან და ქართულად კი ცხოვრობენ და დროს ატარებენ-თქო“.

ამის შესახებ ბ. მემედი დიდს სიხარულს განიცდის—ჭვონია, რომ დაშეიჩირა ლოღიკურ წინააღმდეგობაში: „მე თუ მუსულმანი ვარ, განა სულით და გულით ქართველი არა ვარო, მეკამათება იგი.

საკვირველად ეს მხიარულებაც მოტყუებაზეა აშენებული.

ზე-ხოყვანილი ჩემი აზრი შეეხებოდა და შეეხება იმ ხანას, როცა „ვეფხის-ტყაოსანი“ იწერებოდა. მაშინ სრულიად საქართველო ქრისტიანი იყო და სიტყვა ქართველი სინონიმი—ქრისტიანობისა. ბ. მემედმა ეს ჩემი აზრი გამოწყვიტა ამ ისტორიულ პერსპექტივებს, და რვა საუკუნის იქით, ბნელ საუკუნის ნაპირად გამოიტანა..

იცით—არის ერთგვარი ცხოველი ზღვაში, ფრანგულად იმას „მედუზას“ ეძახიან. სანამ იგი ზღვაში დასცურავს, ლამაზია, მის აგებულობას აქვს შნო და სიმეტრია. მარა სცადეთ და გამოათრიეთ იგი ნაპირად, გამოჰგლიჯეთ იგი მის ბუნებრივ სფეროს და—თქვენ წინ იქნება სილამაზე კი არა, რაღაც საზიზღარი ლეშეპი.

ბ. მემედიც სწორედ აგრე მოიქცა: მან გამოათრია ჩემი აზრი მეთორმეტე საუკუნიდან მეოცე საუკუნის ნაპირად და გაკვირვებული სდგას—მის წინ საზიზღარი ლეშეპია!

ჩასვით, ბატონო, ის ჩემი აზრი მის ისტორიულ პერსპექტივებში და, გარწმუნებთ, იგი კვლად მოიპოვებს თავის შნოს და სიმეტრიას.

გიორგი გვაზავა.

კოჯორი.

საგულისხმო მოვლენა

კარგა ხანია მას შემდეგ, რაც ქართულ პრესაში ენერგიულად ალაპარაკდენ ქართულ მართლ-წერის შესახებ და მის შეცნიერულად გარკვეულ საფუძველზედ დამყარების საჭიროებაზედ. თუ მეხსიერება არა მღალატობს, ქართულ ენის მცოდნეთა კონფერენციის მოწვევის აუცილებლობაც კი იყო ნახსენები, რათა ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებულიყოს სადაო გრამატიკული ფორმები და სიტყვათა პირდაპირი მნიშვნელობა ქართული ლექსიკონის გამოცემით. მართლაც-და საოცარია, რომ ქართულ ენაში არ არის შემუშავებული უპირატესი ფორმანი, ნათელი, გარკვეული კანონებით. აქედან წარმოსდგება ის უწესოება, რომელიც გამეფებულია როგორც კერძო სჯა-ბაასში, აგრეთვე ქართულ პრესა-ლიტერატურაში. ქართველებს იმდენი გრამატიკა გვაქვს (ან შეიძლება გვქონდეს), რამდენიც ფილოლოგიური ცოდნით აღჭურვილი პირი მოგვეპოვება. ამ დებულების ღრმა განმარტება არ შეადგენს ამ წერილის მახლობელ მიზანს. ეს კი ცხადია, რომ ქართველთა ცხოვრების არსებულ პირობებში მეტ მნიშვნელოვანი საკითხი არ მოიძებნება... მართლაც-და ქართული ენა, რომლის მრავალფეროვნებას აღტაცებაში მოჰყავს უცხოელნიც კი, რომელიც ასე უბრალოდ, მაგრამ ღრმად და ღირსეულად გადმოგვცემს ადამიანის სულის-ძვრათა სხვადასხვაობას ანუ ბუნების ჯადოსნურ, უზენას მშვენიერებას, სილამაზის მხრივ კი ბგი ადვილად იტაცებს საოცნებო გრძნეულობისკენ, აღავსებს გულს და გონების გამაშტერებელ სიტურფით და აღერსიანობით, რომელიც ოდესღაც გრძნობათა აღტაცების, სათნოება-ბიწიერების მშვენიერ გამომსახველ ფორმას წარმოადგენდა, დღეს დევნილი თუ არა, გადაგვარებულ-შელახულია ქართულ საზოგადოებაში. მაშ რით უნდა აიხსნას ზოგიერთთა თავხედობა, ქართულ ენის სილამაზე-მშვენიერებაზედ, მის გამომხატველობაზედ ოდნავი წარმოდგენაც კი არა აქვსთ და „ლექსიკონების“ გამოცემით, „საზოგადოების ჭირილობათა განსაკურნებლად“,—ვინ იცის, რა მიზნებს არ ანხორციელებენ! ჩვენა გვაქვს მხედველობაში ბოლო ხანს გამოცემული რუსულ-ქართული „უბის ლექსიკონი“ ვინმე „ვ. ს.“-ს მიერ. თვით ამ „ლექსიკონს“ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ასეთს, ხოლო იგი ყურადღების ღირსია, როგორც მაგალითი ნიმუში, ნაყოფი ჩვენი ანორმალური ცხოვრებისა, რომელსაც გათვალისწინებული აქვს შესაფერისი სარბიელი ქართულ საზოგადოებაში. ეს ხომ გინებაა, უზნეო საქციელია ქართული ენის მიმართ, უპატივცემულობაა მისი მედიდურ წარსულისა,—და თუ გნებავთ, მათრახია ჩვენ საკულტურო-განმანათლებელ საზოგადოებათა წელზე გადაწნული. აი რამდენიმე მარგალიტი:

Автобіографія—ცხოვრების აღწერა,
Алгебра—სამათემატიკო სწავლა,
Аттестатъ—მოწმობის წერილი,
Безобразіе—უმართებულობა,
Близорукій—ბრუციანი,
Бѣлка—თრითინა,
Венера—აფროდიტა,
Гимназія—სასწავლებელი,
Опредѣленіе—დასკვნა,
Орудіе—ზარბაზანი,
Полюсъ—სფეროს ღერძი და სხვ.

ვიმედოვნებთ, ჯეროვანი ყურადღება მიექცევა ამ მოვლენას საკულტურო საზოგადოებათაგან—ანგარიშს გაუწევენ საზოგადოების მწვავე საჭიროებას, შეაჩერებენ ენის შემლახველ ტენდენციას და ააცდენენ ჩვენ საამაყო ნამყოს სრულიად გაქელვას.

ჩვენი ფილოლოგები ერთხანად მუყაითად მოეკიდენ ამ საქმეს, ხოლო მას შემდეგ კარგა დრომ განვლო და... დღეს საშუალება მიეცათ სრულიად უვიცთ გამოსცენ ვითომ-და ხალხისთვის იმისთანა მწუხარება-ლექსიკონი, რომელიც ზიანის მეტს არაფერს მოუტანს ხალხს. სხვა არა იყოს რა სირცხვილია ასეთი თავხედური და უდიერი მოქცევა ხალხის წმიდათა-წმიდასადმი.

ივ. ნასიძე.

ვილჰელმის მანიფესტი

„მეორე ხელ დადგა მომენტი, როდესაც მიხდება ხელახლად მივმართო გერმანეთის შვილთ იმპერიის არსებობისა და მისი პატივის დასაცველად. გერმანეთის ხალხს გარდახდა მრავალი გმირული განცდა და სახელის მოხვეჭა. არმიამ და ფლოტმა შეერთებულის ძალებით ჩვენს მოკავშირეებთან ერთად დიდი სახელი გაუთქვეს სამშობლოს როგორც იერიშების დროს ისე თავდაცვის დროს. აღმოსავლეთით და დასავლეთით ჩვენი ძმები თამამად იგერიებენ მტერთა მოსევას. ჩვენი ნორჩი ფლოტი გამარჯვებული გამოვიდა სკაგერაკის სახელოვან დღეს, როდესაც ინგლისელთა არმადას საშინელი მახვილი დასცა. აუწერელ სიმამაცის და ამხანაგური თავგანწირულების დიადი სურათები ჰბრწყინავენ ჩემს წინ.

მებრძოლთა უკან აგრეთვე ეხედავთ მამაკაცთა და დედაკაცთა სიმამაცეს, მოხუცთა და ყრმათა სიმშვიდეს, როდესაც გლოვის არშიას ასე სიჩუმით ატარებენ. ასეთივე განსაცვიფრებელია სიშამაცე ყველა იმისი, ვინც შეუსვენებლივ მუშაობენ მებრძოლ ძმებს იარაღი მიაწოდონ. მტრის იმედები, რომ სამხედრო იარაღის მომზადებაში გადაეჯარბებინათ ჩვენთვის, ისეთივე მიუწედომელ ოცნებად დარჩა, როგორც ჩვენი შიმშილობით დამორჩილება. ღვთის მადლმა და კურთხევამ გერმანეთის მინდვრები არა-ჩვეულებრივი სიუხვით აავსო და დაასაჩუქრა. ჩრდილოეთი და სამხრეთი ერთმანეთს ეჯიბრებიან თანასწორად გაანაწილონ სარჩო-საბადებელი და ახალ-ახალი საშუალებანი აღმოაჩინონ მცხოვრებთა დასაკმაყოფილებლად. ყველა მათ, მშრომელთ მინდვრებზე და ველზე, ჩემი უღრმესი მადლობა.

ჩვენ წინ გვიდევს განცდის ახალი ხანა. ორი წლის საშინელ ჭარიშხალის შემდეგ, ყველა ადამიანის გული მოუთმენელი სურვილით თრთის იხილოს ბრწყინვალე დღენი კურთხეული მშვიდობიანობისა და ზავისა. მაგრამ ომი გრძელდება, რადგანაც ჩვენ მტერთა ყიჟინა ისევ გერმანეთის შემუსვრა არის. შემდეგი სისხლის ღვრის ბრალი მაშ ჰზღონ ისევ ჩვენმა მტრებმა!

პირადად მე არასოდეს არ დამიკარგავს რწმენა გერმანეთის უძლეველობის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ გარს რიცხვით გაცილებით მეტნი გვარტყიან. გერმანეთმა დღეს, რომ იგი თავის არსებობისათვის იბრძვის, უწყის თავისი ძალღონე და ჰსასოებს ღვთის შემწეობას. ამიტომაც ვერარა შეარყევს მის რწმენას და გარდაწყვეტილებას.

ჩვენ უნდა ბოლომდე მივიყვანოთ ეს ბრძოლა, რომ ჩვენი იმპერია უზრუნველ-ყოფილი იყოს მომავალი თავდასხმისაგან, რათა მშვიდობიანად შეეძლოს განვითარება. გერმანეთის შრომა და გენია საბოლოოდ უზრუნველსა ჰყოფს ჩვენს მომავალს. სხვა ერთა შორის უნდა ვიცოცხლოთ თავისუფლად, ძალით და უშიშრად. ამ უფლებას ვერვინ ვერ წაგვართმევს.“

„ნ. ვ.“

ღერილი ქიზიყიდან

იმაზე მეტი ტანჯვა და ვაება რა უნდა იყოს, ადამიანი მთელი წლის განმავლობაში წელებზე ფეხს იდგამდეს, დაუღალავად შრომობდეს, ოფლს ღვრიდე დილიდან საღამომდის, იმედოვნებდე შრომა დამიფასდება, ცოლ-შვილის გამოსაკვებს და ათასგვარ გადასახადების მოსაშორებელ საშუალებას შეიძენ, ბოლოს ერთ მშვენიერ დღეს დაინახო, რომ შენმა ამ აუარებელმა, მუყაითმა შრომამ სულ ცუდად ჩაიარა, არავითარი ხელხვავიანი ნაყოფი არ გამოიღო, უბარაქოთ წავიდა და დაიღუპა, დაგეწრიტა წყაროო შემოსავლისა, ცოლ-შვილი ისევ მშიერ-ტიტველი დაგრჩნენ, სხვათა თვალ-წარბში შემხედვარნი.

სწორედ ასე დაემართათ წელს ქიზიყელთ. არავითარი მოსავალი სულაც-დისა არ იყო ქიზიყში. სარჩოს საშინელ ნაკლებობას განიცდიან ქიზიყელნი პურისა და ქერის მოუსავლობის წყალობით, მაგრამ ეს კიდევ ნახევარი უბედურება იქნებოდა, ამას როგორმე გაუძლებდნენ, მეორე უმთავრესი წყარო ცხოვრებისა, ღვინის მოსავალი მაინც რომ ყოფილიყო და ვენახები ასე მთლად არ დაღუპულიყო წყეულ ნაცრისაგან.

ქიზიყელთა ვენახები, რომ დაიაროთ ხირსაზე, ტიბაანში, ჯუგაანში და სხ., გული ჩაგეთუთქებათ ნაღვლისაგან ისეთ საბრალო სურათს წარმოადგენენ ამ ჟამად ეს გაცუდებული ვენახები. ნაცრისაგან მთლად გაშავებული მტევნები და ამ ბოლო დროს მოსულ წვიმებისაგან დახეთქილ-ჩამომხმარნი საზარლად, გულსაკლავად შემოგცქერიან. სიბრალულით თვალი უნდა მოარიდო, მალე გამოხვიდე ვენახიდან, რომ ჯავრისაგან გული არ შეგიღონდეთ.

თავის დროზე რიგიანი გოგირდი რომ ყოფილიყო გასასყიდათ ბაზარზე, ფუთში ათ-ხუთმეტ თუმანს მისცემდნენ, არაფერს დაზოგავდნენ და ეხლა ამ გაშავებულ, ჩხრიალა კლერტების მაგიერ ბუნჭულა, საყვარლად შეკუმშული, მსუქანი მტევნები ეკიდებოდა ვაზზე ქიზიყელთა გულის გასახარებლად.

მართალია სამეურნეო საზოგადოებიდან ქიზიყელთაც წაიღეს გოგირდი, მაგრამ ჯერ ერთი ამ საზოგადოებას ეს გოგირდი ძლიერ გვიან მოუვიდა. იმ დროს მტევნებს ნაცარი უკვე კარგა მაგრად ჰქონდა გამჯდარი, მეორეც ეს გოგირდი კარგის ღირსებისა არ იყო. ნაცარზე არავითარი საკეთილო მოქმედება არ იქონია ამ გოგირდმა.

როდესაც კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას პირველად მოუვიდა ეს გოგირდი და მევენახენი ბლომად მიეტანნენ სასყიდლად, აგრონომმა დემენტიევმა მითხრა, ეგ გოგირდი რასაც არ აზარალებს ყურძენს, არაფერს საკეთილოს არ შესძენსო. მართალიც გამოდგა იმისი სიტყვები. გოგირდი გაწმენდილი, განაიავებული, ეგრედ წოდებული „სუბლემიროვანნი“ უნდა იყოსო. მხოლოდ მაგ გოგირდის შემდეგნაირად ხმარება შეიძლებაო. აიღეთ 10 გირვანქა და 35 მისხალი გოგირდი და 12 გირვანქა ახლად დამწვარი, დაუშლელი კირი. აურიეთ ერთმანეთში და თან მძიმე-მძიმეთ ერთი ვედრო წყალი დაასხით და ესე ურიეთ შეუსვენებლივ წყალდასხმულ, ადუღებულ კირს ერთი საათისა და 15 წუთის განმავლობაში. ესე არეული კირი და გოგირდი ცომსავით გახდება. ეს რაოდენობა კირ-გოგირდისა ეყოფა 100 ვედრო ვენახის შესაწამლ შაბიამანწყლის მოსამზადებლად, მხოლოდ ამ ას ვედრო წყალს მოუნდება ოცდა-ათი გირვანქა შაბიამანიო.

თუ ძნელია კაცმა გაბედოს და თავის ვენახს ამ გვარად უწამლოს, საჭიროა რამოდენიმე ცალ ვაზზე იცადოს და თავისი დაკვირვება გაზეთის საშუალებით გამოცხადდეს.

ქიზიყელთა ვენახების დაუძინებელი მტერი და დუშმანი ნაცარია,—თუ რიგიანი გოგირდი არ არის ხოლმე ყოველ წელს ფუჭდება ვენახები. წელს მარტო იმ ათასში ერთ მევენახეს აქვს კარგი ვენახი, ვისაც ძველად ჰქონდა მარსელის გოგირდი დარჩენილი, ან რაიმე შემთხვევით, თუ წინდახედულობით ადრე შეიძინა მიმალული გოგირდი.

ქიზიყშიაც დასრულდა სამეურნეო აღწერილობა,—თუმცა პირველ ხანად ქიზიყელნი უნდო თვალით უცქეროდნენ აღმწერელთ, მაინც საჭირო ცნობები დროზე შეიკრიბა.

X.

თეატრი

დ. მცხეთა. ამა წლის აგვისტოს 7 ადგილობრივ და აქ მყოფ ახალგაზრდათა მიერ წარმოდგენილ იქმნა მცხეთის უფასო სამკითხველოს სასარგებლოდ ტრ. რამიშვილის დრამა „მეზობლები“. მიუხედავათ იმისა, რომ ასეთი პიესა სოფლის სცენაზე ძალიან ძნელია წარმოსადგენად, მაინც ახალგაზრდულმა სურვილმა, ენერგიამ და ხალხისადმი სიყვარულმა სძლია ყოველივე დაბრკოლებას და როგორც იყო წარმოდგენა კარგად ჩაატარეს. ეტყობოდათ ბევრი ემუშავნათ და საქმისადმი დიდი სიყვარული გამოეჩინათ, პირნათლად გამოვიდნენ საზოგადოების წინაშე.

ადმინისტრატიული მხარე მეტად მოისუსტებდა.

ანტრაქტზე მდეროდა აქაური გუნდი და ავჭალიდან ამოსული ქართველი ჯარიკაცნი, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსნი არიან.

საზოგადოება ნასიამოვნები დაიშალა ღამის 2 საათზე. დიდი მადლობის ღირსნი არიან სამკ. გამგე ბ. გ. რ. მრეველიშვილი და გ. პ. ღოღობერიძე, რომელთაც თავის მხრივ არავითარი შრომა არ დაიშურეს.

შემოსავალი 60 მანეთი გადაეცა სამკითხველოს გამგეს ბ. გრ. მრეველიშვილს.

არა მცხეთელი.

რედაქტორ-გამომცემელი
ალექსანდრე შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბორჯომის	სამგზ.	№ 17,	8.27	დილ.
„	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ	№ 4,	7 „	58 „	დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან	№ 3,	7 „	58 „	საღ.

თუ გსურთ,

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა, რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით, საქმის ძალალდის დაწერა, თხოვნების შედგენა, საქმის და თხოვნის წარმოება, ცნობების შეკრება, მოსამსახურის შოვნა, საკომისიო მინდობილობა, ბინის გაძირავება, ბინის შოვნა, მამულის სყიდვა, მამულის გასყიდვა, მამულის დაგირავება, მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

მიმართეთ

ცნობის-პუნქტორას

ი. თ. გვათუასას

თბილისი, ვერის დალგარი, სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუამავლობას ეს კონტორა გასწევს როგორც ძალაძლით ისე ძალაძ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფს და პირნათლად ასრულებს.

ხელმისაწვდენ ფასებში

მისამართი პროგრესიელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

სავაჭრო სახლი „ძმ. სესიევები და ამხ.“

(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პირველ ივნისიდან ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

ზეშის საწყობი

ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

უფელასთვის ხელმისაწვდენ ფასში

საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კიბრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

„სოკრაპანის“ გამოცემა

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდად ივ. გომელაურის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო

ქართველი მწერლები

ნაწილი პირველი. ფასი 1 მანეთი.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის საბჭოს დადგენილებით სასწავლებელში ამ წიგნის ხმარება ნება დართულია.

იყიდება აგრეთვე ამავე ავტორის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო წიგნი

ქართველი მწერლები

ნაწილი მეორე. ფასი 1 მ. 50 კაპ.

პარტიით მყიდველთ შეუძლიანთ მიმართონ თბილისში, წერა-კითხვის მაღაზიას და გამომცემელს. სტამბა „სოკრაპანი“ მ. გაჩეჩილაძეს.

(10-295-1)

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სჯან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლალიძის და ამხ-ს ჭარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლალიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქათინათულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში დ თვით პრობკებსაც აწერია „ლალიძის წყალი“

მხოლოდ და მხოლოდ ლალიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანავე

სუნი და გემოც საამური აქვს—

წ.

ძ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, შურნალ-გაზეთების ქანტორა ტ წიგ. მაღაზია

„განათლება“-ში

იწყება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. ხურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი ძმ. მეგველაძენი

ბეშქინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილის“ მრეწველობიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მკირე მარილიანი, შავი „„მეშჩანი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მილებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.